ქ.რუსთავი

20 ნოემბერი 2014 წელი

ერთის მხრივ სსიპ ქალაქ რუსთავის #17საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნელი ლიქოკელის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ თამაზ ელყანაშვილი ს/კ 35001004817 (შემდგომში - მიმწოდებელი) ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 3 მუხლის 1 პუნქტის ,,ს 1'' ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საექსკურსიო მომსახურება რუსთავი-მცხეთა -რუსთავი GPV-60170000

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს არაუმეტეს 120 (ასოცი) ლარი .

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით (ეროვნულ ვალუტაში) წარმოდგენილი სასქონლო ზედნადების,მიღება ჩაბარების აქტის საფუძველზე, არაუგვიანეს 25 დღისა.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ნელი ლიქოკელი

4.2. მომსახურეობა დასტურდება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. შემსყიდველის მისამართზე: ქ. რუსთავი გურამიშვილის ქ #6

5.2. მომსახურება განხორციელდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები დაჯარიმდებიან ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით.

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2014 წლის 20 ნოემბერს და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრამდე .

12.დამატებითი პირობები

12.1 ხელშეკრულება შედგენილის ქართულ ენაზე 2 (ორი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი ინახება შემსყიდველ მხარესთან.

შემსყიდველი:

ქ.რუსთავის სსიპ #17საჯარო სკოლა
მის: ქ.რუსთავი გურამიშვილის №6;
საიდენტიფიკაციო კოდი 216317260;
ბანკი: სს ლიბერთი;
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE10LB0121154312232000

დირექტორი: ნელი ლიქოკელი:

მიმწოდებელი:

ი/მ თამაზ ელყანაშვილი
მი:
ს/კ 3500104817
ა/ბანკი: სს ლიბერთი;

ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE09LB0112153238168000

ი/მ: თ.ელყანაშვილი

მიღება - ჩაბარების აქტი

ქ. რუსთავი 24 .11.2014წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ქალაქ რუსთავის №17 საჯარო სკოლის დირექტორი ნელი ლიქოკელი,შემდგომში ("შემსყიდველი"), ხოლო მეორეს მხრივ ი/მ "თამაზ ელყანაშვილი" შემდგომში ("მიმწოდებელი"), ვადასტურებთ, რომ მხარეებს შორის 2014 წლის 20 ნოემბერს გაფორმებული №54 ხელშეკრულების შესაბამისად "მიმწოდებელმა" სკოლას გაუწია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საექსკურსიო მომსახურება(რუსთავი-მცხეთა-რუსთავი) თანხით 120 (ასოცი) ლარი.

"მიმწოდებელი":

თამაზ ელყანაშვილი

ი/მ ,თამაზ ელყანაშვილი"

"შემსყიდველი"

ნელი ლიქოკელი

სსიპ ქალაქ რუსთავის #17 საჯარო სკოლის დირექტორი

ქ. რუსთავის №17 საჯარო სკოლა LEPL rustavi public school №17 216317260